

საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

წესდება

ჩვენ, ერთი მხრივ ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელი მდივანი, გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი სერგო რატიანი და ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება ა(ა)იპ „ევროპული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი, ბესიკ დონაძე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 114-ე მუხლით, 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული მორიგი არჩევნებისათვის, სრული ნებაყოფლობითობის საფუძველზე, წინამდენარე დოკუმენტზე ხელისმოწერით ვთანხმდებით საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნაზე და არჩევნებში ბლოკის სახით მონაწილეობაზე.

მუხლი 1.

საარჩევნო ბლოკის სახელწოდება

საარჩევნო ბლოკის სახელწოდებაა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

მუხლი 2.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიები

საარჩევნო ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აერთიანებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს (პარტიებს) - ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ევროპულ საქართველოს“.


მუხლი 3.

საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი და მისი უფლებამოსილება

საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირია *სერგო რატიანი*, პირადი რეგისტრაციის მისამართი: -

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: -

სერგო რატიანის, როგორც საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლები შეუზღუდავია და უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს ცენტრალური



კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო ბლოკისათვის და მისი ხელმძღვანელისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილება, დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად და ერთპიროვნულად.

მუხლი 4.

საარჩევნო ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესები

1. საარჩევნო ბლოკში - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“ გადაწყვეტილებები მიიღება ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ ერთობლივად შეთანხმებული ზეპირი გადაწყვეტილებით. საარჩევნო ბლოკის სახელით ცესკოსა და სხვა ორგანოში წარდგენილი დოკუმენტი იმავდროულად ითვლება ბლოკში გაწევრიანებული პარტიების ერთობლივ გადაწყვეტილებად.

2. საარჩევნო ბლოკში ახალი პარტიის მიღებაზე გადაწყვეტილებას ღებულობენ ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელი პირები.

3. საარჩევნო ბლოკიდან გასვლა ნებაყოფლობითია, რომელიც გასვლის სურვილის მქონე სუბიექტის მხრიდან წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს საარჩევნო ბლოკს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. საარჩევნო ბლოკიდან, ბლოკში შემავალი პარტიის გარიცხვაზე გადაწყვეტილებას ღებულობს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

5. საარჩევნო ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენასა და წარდგენის გაუქმებაზე გადაწყვეტილებას ღებულობს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

მუხლი 5.

საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება

ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელ მდივანს, გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს *სერგო რატიანს*, პირადი რეგისტრაციის მისამართი: _____ სტატუსით - „საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი“.

მუხლი 6.

საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი



საარჩევნო ბლოკის ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა დამოწმებული იქნება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მრგვალი ბეჭდით, ის დაესმება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სატიტულო ფურცელს და სხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებს.

მუხლი 7.

საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის განსაზღვრა

საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად ბლოკში შემავალი პარტიები გამოიყენებენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კომერციულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშის ნომერს (პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდის საბანკო ანგარიშს), საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ფონდიდან ხარჯების გაწევის მიზნით.

მუხლი 8.

საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირების, მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის წესი;

საარჩევნო ბლოკის სახელით, საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირია საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი და ფონდის ბუღალტერი, რომლებიც ინიშნებიან საარჩევნო ბლოკში გაწევრიანებული პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელთა ერთობლივი ზეპირი გადაწყვეტილებით.


საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველია *ელენე ჯავახიძე*, პირადი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი):
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

საარჩევნო კამპანიის ფონდის ბუღალტერია *ნინო ქუხილავა*, პირადი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი):
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

მუხლი 9.

არჩევნებში მონაწილეობისათვის რიგითი ნორმის განსაზღვრის საკითხი

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული მორიგი არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ნომრით - „ 5 “, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მინიჭებული ჰქონდა უკანასკნელი, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას, რაც საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლის საფუძველზე აგრეთვე მიეკუთვნება საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარსადგენ საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატებს და თავად საარჩევნო ბლოკს - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“.




მუხლი 10.

საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

წარმოდგენილ წესდებაში ცვლილების შეტანა განხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესით - ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
აღმასრულებელი მდივანი, გერერალური
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი



სერგო რატიანი

ბ.ა.

ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება
„ევროპული საქართველოს“
აღმასრულებელი მდივანი:

ბესიკ დონაძე

ბ.ა.